განკარგულება:**გ-37. 37262732**
თარიღი:**30/09/2026**

განკარგულება N64

30 სექტემბერი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.25.12.090) სააგარაკე-საცხოვრებლის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეთანხმებული იქნას, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ლაითურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს.კ 26.25.12.090) სააგარაკე-საცხოვრებლის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი